



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/10035  
10/11/2022

10035-09-2-202211101552



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის  
პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა კატეგორიის სურსათის ნიმუშების აღებას. პროგრამაში გაწერილია კვლევის დასახელება, საკვლევი სურსათის კატეგორიები და ასაღები ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა.

2020 წელს კორონავირუსის (COVID -19) პანდემიიდან გამომდინარე, ქვეყანაში დაწესებული მოთხოვნების, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო, შეზღუდული იყო ბიზნესოპერატორების საქმიანობა, შესაბამისად, ინსპექტირება, დოკუმენტური შემოწმება და ლაბორატორიული კვლევები განხორციელდა შემცირებული რაოდენობით. სახელმწიფო კონტროლისთვის გამოყოფილი სააგენტოს რესურსი მიმართული იყო კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დაწესებული რეკომენდაციების შესრულების კონტროლზე. სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების ლაბორატორიული კვლევის მიზნით, გამოკვლეული იქნა 100 ნიმუში (თაფლი) ,დაფიქსირდა 5 დარღვევა (<https://nfa.gov.ge/Ge/StateControl>).

2021 წელს, ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა ჩატარდა 201 ნიმუშში (ხორცი, ნედლი რძე, კვერცხი, თაფლი) გამოვლინდა 47 დარღვევა*(იხილეთ დანართი 1)*.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები, ცხოველების ჯანმრთელობის დაცვის, მოვლა-შენახვის, პრეპარატების სწორად და ეფექტიანად გამოყენების საკითხებზე, ფერმერებთან საინფორმაციო შეხვედრებს სისტემატიურად მართავენ.

<https://www.facebook.com/National.Food.Agency/posts/pfbid02zauga7rzoqucPH7tio2pNfB9JdZjzUrXaM2Xf8Zo a2bohRt1EaaVG5JAH36WwiP6l>;

<https://www.facebook.com/National.Food.Agency/posts/pfbid0F9sRhqgiJ6aPWfLEbCM4VhjzyF2GQbrSXq5Jkqii oHb3TkqmKojmLkJWF4eYsnml;>

[https://www.facebook.com/National.Food.Agency/posts/pfbid02k11EX74gKeGVQqwsL1NZU5QqXp8UognurgBjd V7pBGWFCWDYtLhSvBV6Ux3aq2cYl\)](https://www.facebook.com/National.Food.Agency/posts/pfbid02k11EX74gKeGVQqwsL1NZU5QqXp8UognurgBjd V7pBGWFCWDYtLhSvBV6Ux3aq2cYl)

ცნობიერების ამაღლების შედეგად, მიმდინარე წელს, ნარჩენების გამოვლენის შემთხვევები შემცირებულია და გამოკვლეული 100 ნიმუშიდან, დარღვევა მხოლოდ 9 შემთხვევაში გამოვლინდა (<https://nfa.gov.ge/Ge/StateControl>). სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ფერმერებთან საინფორმაციო შეხვედრებს დადგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განაგრძობენ.

2022 წელს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევების მიზნით სულ დაგეგმილია 310 ნიმუშის გამოკვლევა. ლაბორატორიული კვლევის პროცესშია თაფლის ნიმუშები.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2022 წლის პროგრამა იხილეთ ბმულზე:

<https://nfa.gov.ge/Ge/FoodSafetyStatePrograms>

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი

